

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

სუდან ალოუნ

მეოცე საუკუნის თურქულ-ქართული ლიტერატურული
ურთიერთობები და აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედება

სპეციალობა - ლიტერატურათმცოდნეობა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

ბათუმი
2018

საკვლევი თემის აქტუალობა

ქართულ – თურქული ურთიერთობები დიდი ხნის ისტორიას ითვლის. დღეს თურქეთი დასავლური ორიენტაციის მქონე, დემოკრატიული ღირებულებების მიმ-დევარი ქვეყანაა, რომელთანაც საქართველოს ახლო კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობები გააჩნია. ისტორიის ქარტეხილებმა მრავალჯერ გადაკვეთა ჩვენი და თურქეთის სახელმწიფოს გზები, რამაც საერთო კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიული ყოფისა და ტრადიციების პარალელები წარმოშვა. დღეისათვის უკვე საერთო მემკვიდრეობად ქცეულ საგანძურს შესწავლა, დაცვა და წარმოჩენა სჭირდება, რაც საინტერესო არის როგორც ქართველი, ასევე თურქი მკვლევარებისათვის.

საქართველო–თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის მხოლოდ წინა საუკუნეში დაიწყო. ქართულმა მეცნიერულმა საზოგადოებამ თავიდანვე სწორად შეაფასა თურქული ლიტერატურის თარგმნის მნიშვნელობა და ახალი დროის საქმედ დასახა თურქული ლიტერატურული ძეგლების ქართულად გადმოთარგმნა.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაინტერესებამ თურქეთის ისტორიის, თურქული ენისა და ლიტერატურისადმი და, შესაბამისად, თურქი მწერლების მიერ აქტიურად გაშლილმა მთარგმნელობითმა საქმიანობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართულ–თურქულ კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებაში. ეს ურთიერთობანი ყოველთვის იყო საგანგებო ინტერესების სფერო ქართველი და თურქი მეცნიერებისათვის. თუმცა, თურქული ლიტერატურისა თუ ლიტერატურის ისტორიის კვლევა ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეოცე საუკუნის ბოლოსკენ, გარკვეული მიზეზების გამო, შეფერხებული იყო. საქართველოში მიმდინარე დიდმა პოლიტიკურმა პროცესებმა და ქვეყანაში არსებულმა მძიმე ვითარებამ თითქოს ასახვა ჰპოვა მეზობელი ქვეყნების

ლიტერატურისა და კულტურის კვლევების საქმეში. თუმცა ამ საუკუნის დასაწყისიდან ყინული დაიძრა და თანდათანობით დაიწყო არა მხოლოდმთარგმნელობითი საქმიანობა, არამედ თურქული მწერლობისა და ლიტერატურის ინტენსიური კვლევაც.

თურქულმა ლიტერატურამ განვითარების არატრადიციული გზა გაიარა და მასში თავისებურად აისახა მსოფლიო ლიტერატურის თავისებურებანი. მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებიდან თურქული მწერლობის მოდერნიზაცია იწყება და ის ტრადიციული აღმოსავლური ლიტერატურის ჩარჩოებიდან გამოდის. ლიტერატურაში განხორციელებული ცვლილებები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ახალი აქამდე უცნობი ჟანრების დამკვიდრება; სამწერლობო ენის რეფორმირება. ახალი მწერლობის ჩამოყალიბების პროცესი მახლობელი აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში ერთგვაროვანად განხორციელდა: დასავლური ლიტერატურის გაცნობა, თარგმნა, სიუჟეტებისა და მხატვრული ხერხების სესხება. თანზიმათის ხანაში ევროპული ლიტერატურის გავლენა თურქულ მწერლობაზე უმთავრესად ფრანგული მწერლობის სახით იყო წარმოდგენილი. პრაქტიკულად, ყველა ის მიმდინარეობა, რომელიც ფრანგულ ლიტერატურაში დამკვიდრდა, გაზიარებულ იქნა თურქული მწერლობის ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესში, მაგალითად, თანზიმათის პირველ ეტაპზე რომანტიზმის, შემდგომ პერიოდში რეალიზმისა და ნატურალიზმის გავლენა გამოსჭვივის. ამგვარი მრავალფეროვნების მიზეზი ნაწილობრივ თანზიმათის მწერლებისათვის ნიშანდობლივი პოზიციიდანაც გამომდინარეობდა: მაქსიმალურად სწრაფად აეთვისებინათ დასავლური ლიტერატურის მიღწევები. მათ მწერლობა სოციალური აქტივობის ძირითად მამომრავებელ ძალად ჰქონდათ წარმოდგენილი (ჯაველიძე, 2014: 151). თურქულმა ლიტერატურამ წარმოშობიდან დღემდე საკმაოდ საინტერესო, არატრადიციული გზა გაიარა, რაც ხალხის ერად, საზოგადოებად ჩამოყალიბების პროცესზე აისახა. საინტერესოა ასევე ის ფაქტორი, რომ მასში თავისებურად აისახა მსოფლიო

ლიტერატურის განვითარების საფეხურები, რაც თურქული საზოგადოების ეროვნული წარსულის გაგებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ქართულმა ლიტერატურამ განვითარების საკუთარი გზა განვლო, რომელიც დეტერმინირებული იყო ისტორიული რეალიებითა და სინამდვილით, ცხოვრების წესითა და აზროვნების მოდელით. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქართული, ისე თურქული ლიტერატურა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მოწყვეტილი იყო ევროპულ მხატვრულ თუ ზოგადად კულტურულ ცნობიერებას, რაც ქართულ მწერლობაში აისახა თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში სპარსულ-აღმოსავლური მოტივებისა და თემების მოძალებით, მეცხრამეტე საუკუნიდან ეს პროცესი, ახალი ლიტერატურული და წიგნიერი საზოგადოების განვითარებით დასრულდა. მეოცე საუკუნის პოსტკოლონიურმა რეალობამ ქართული მწერლობა მრავალგვარი ჟანრული ნარატივის ძიების წინაშე დააყენა, სწორედ აქ იკვეთება ზემოთ აღნიშნული გამაფრებელი ინტერესი თურქული მწერლობისადმი ქართულ რეალობაში.

თარგმანი ენის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა და ისევე ამდიდრებს ენას, როგორც ორიგინალური პოეზია თუ პროზა. მას ენაში შემოაქვს ახალი გარემო, რეალიები, ცნებები. XXI საუკუნეში ქართულ ენაზე მსოფლიო ლიტერატურული საგანძურის არაერთი შესანიშნავი ნიმუშია ნათარგმნი. მთარგმნელს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია - მკითხველის ზიარება სხვა ქვეყნის კულტურულ და სააზროვნო სივრცესთან. აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიების“ თარგმნა ქართულ ენაზე გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში ასახულია საქართველოს ისტორიის და ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ასპექტები.

ნაშრომი თურქულ - ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა, კონკრეტულად კი თურქულ ლიტერატურაში ქართული ელემენტის კვლევაა. ეს განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მხატვრულ ნააზრევში. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მივიჩნით თურქი მწერლის აჰმეთ მითჰათ ეფენდის

შემოქმედება, მის მემკვიდრეობაში ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდნენ თურქი მწერლები ქართული კულტურისა და ისტორიის მიმართ.

საკვლევი თემა **აქტუალურია** იმდენად, რამდენადაც ქართულ-თურქული ურ-თიერთობებში საინტერესოა კონკრეტული კულტურული კვლევა ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით. მე-20 საუკუნის ბოლო წლებამდე კომუნისტური რეჟიმის გამო ასეთი თემები ტაბუდადებული იყო. საბჭოთა იმპერიის მსხვერვის შემდეგ, განსაკუთრებით კი უკანასკნელ პერიოდში თურქეთთან ისტორიული თუ კულტურული ურთიერთობები მოექცა მკვლევართა ინტერესის სფეროში. საკითხის სრულად შესწავლისთვის მნიშვნელოვანია არსებული კულტურული კომუნიკაციის, მისი პროგრესირების შესწავლა. საკითხის აქტუალობას კი განაპირობებს რეალური და ეპოქალური ასპექტები, რომლებიც სრულყოფილად აისახება ლიტერატურულ დისკურსში.

ქართულ-თურქული ლიტერატურული მრავალწლიანი ურთიერთობების შესწავლა, ბოლო პერიოდში განვითარებული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობაში მიმდინარე ორმხრივი მთარგმნელობითი პროცესის შესწავლა და ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი გამორჩეული უზნის – ქართულად და ქართულიდან თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებების ინტერტექსტუალობის კვლევა, რომლის საშუალებითაც ვითარდება ორი მეზობელი ქვეყნის კულტურული დაახლოება.

ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობებისა და თუნდაც, მხატვრული ნაწარმოებების თარგმანის თვალსაზრისით ბოლო ოცწლეული შეიძლება განვითარების უფრო მაღალ საფეხურად ჩაითვალოს. პირველ რიგში, საინტერესო ლიტერატურულ მოვლენად გვესახება თურქეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების ქართულენოვანი შემოქმედებითი მხატვრული ტექსტები და ის დიდი მთარგმნელობითი, კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობა რასაც ისინი ორივე ქვეყანაში ეწევიან.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი ცნობილი მწერალია. მას დიდი წვლილი მიუძღვის თურქული მხატვრული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში: ერთ–ერთ პირველს შეაქვს დასავლური ელემენტები თურქულ ლიტერატურაში. მის შემოქმედებას მხოლოდ მხატვრული ღირებულება არ გამოარჩევს, მწერალი წერდა თურქეთის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისთვისაც და თავის თხზულებებში ბევრს საუბრობდა ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის შესახებ, ცდილობდა მხატვრული ნაწარმოებისათვის საგანმანათლებლო დანიშნულების მინიჭებას

როგორც აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევამ გვიჩვენა, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მწერალი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მიმართულებას თურქული საზოგადოების ევროპული განათლების რადიუსზე გამართვისთვის იყენებდა. ის ყველაფერს აკეთებდა, რომ საზოგადოება ევროპულ კულტურას ზიარებოდა. მწერლის მთავარი მიზანი დასავლური ელემენტების შეტანაა თურქულ მწერლობაში. ნებისმიერი შემოქმედის ლაბორატორიაში მხატვრულ ღირებულებაზე ზრუნვა მთავარია, მაგრამ მწერალი, უმთავრესად, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებაზე ზრუნავს, რადგანაც მისი შეხედულებით თუ ბევრს ისაუბრებდა ლიტერატურაზე, ისტორიაზე, სხვადასხვა მეცნიერებებზე, ამით მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა სხვა დანიშნულებას მიიღებდა.

გამოჩენილი თურქი მწერლისა და განმანათლებლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს, ქართული კულტურისა და ისტორიის გაცნობას თავისი მკითხველისთვის. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ მასში აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედების ესთეტიკური საფუძვლების გათვალისწინებით, წარმოდგენილია „ქართველი ასულის შურისძიების“ თარგმანის კვლევა ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, როგორ პასუხობს იგი ეპოქის მოთხოვნილებებს, თანამედროვეთა ინტერესებს, მათ სულიერ მიზანსწრაფვას, ეპოქის ესთეტიკურ კრიტერიუმს და როგორ ამდიდრებს ეროვნულ საგანძურს.

ნაშრომში შეკრებილია აჰმეთ მითჰათ ეფენდის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფია, რაც მომავალში საშუალებას მისცემს მკვლევარებს გაითვალისწინონ წინამორბედ ლიტერატორთა კვლევები და საშუალება ჰქონდეთ მწერლის შემოქმედების შედარებით სრულად გააზრებისა.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიების“ მხატვრული ანალიზმა გვიჩვენა, რომ მწერალს თურქულ ლიტერატურაში ეგზოტიკური სამოგზაურო ჟანრის შემოტანასთან ერთად, შემეცნებითი დატვირთვაც შემოაქვს თავის დროსა და ეპოქაზე, იგი მკითხველს აწვდის ცოდნასა და ინფორმაციას. მხატვრული ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულება დამოკიდებულია ეპოქის სინამდვილის ასახვის ხარისხზე და ნაწარმოებში ეს ტენდენცია მკაფიოდაა ასახული.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიება“ ჟანრისთვის დამახასიათებელ ყველა ნიუანსს შეიცავს, რომანის ტექსტის ლექსიკური, სინტაქსური, მხატვრულ–გამომსახველობითი და სხვა მხარეები, მთარგმნელს განსაკუთრებულ სიმძნელებებს არ უქმნის. თარგმანში კარგადაა გადმოტანილი სამოგზაურო ჟანრისთვის დამახასიათებელი თხრობის სტილი, ეგზოტიკური წვრილმანების თავისებურად აღწერა, საოცარი გონებამახვილობა, ენის სისხარტე საშუალებას აძლევს ავტორს ამ რომანით და მასში აღწერილი ამბებით დაინტერესოს თავისი მკითხველი საზოგადოება და ქვეყანაზე მისთვის ცნობილი ინფორმაციები ცოცხალი სასაუბრო ენის მეტყველებიდან აღებული, მხატვრული ხედვის, სახოვანი აზროვნების შესაძლებლობათა გამოვლინების ერთ–ერთი სახიერი კომპონენტის ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით შექმნას სემანტიკური თუ სტილისტური იერი.

კვლევის მიზნები თურქულ - ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა, კონკრეტულად კი თურქულ ლიტერატურაში ქართული ელემენტის კვლევა. ეს განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მხატვრულ ნააზრევში. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მივიჩნით თურქი მწერლის აჰმეთ მითჰათ ეფენდის

შემოქმედება, მის მემკვიდრეობაში ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდნენ თურქი მწერლები ქართული კულტურისა და ისტორიის მიმართ.

გამოჩენილი თურქი მწერლისა და განმანათლებლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს, ქართული კულტურისა და ისტორიის გაცნობას თავისი მკითხველისთვის.

ნაშრომში შეკრებილია აჰმეთ მითჰათ ეფენდის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფია, რაც მომავალში საშუალებას მისცემს მკვლევარებს გაითვალისწინონ წინამორბედ ლიტერატორთა კვლევები და საშუალება ჰქონდეთ მწერლის შემოქმედების შედარებით სრულად გააზრებისა.

სადისერტაციო ნაშრომში მიზნად დავისახეთ ქართულ-თურქული ლიტერატურული მრავალწლიანი ურთიერთობების შესწავლა, ბოლო პერიოდში განვითარებული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობაში მიმდინარე ორმხრივი მთარგმნელობითი პროცესის შესწავლა და ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი გამორჩეული უბნის – ქართულად და ქართულიდან თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებების ინტერტექსტუალობის კვლევა, რომლის საშუალებითაც ვითარდება ორი მეზობელი ქვეყნის კულტურული დაახლოება.

ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობებისა და თუნდაც, მხატვრული ნაწარმოებების თარგმანის თვალსაზრისით ბოლო ოცწლეული შეიძლება განვითარების უფრო მაღალ საფეხურად ჩაითვალოს. პირველ რიგში, საინტერესო ლიტერატურულ მოვლენად გვესახება თურქეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების ქართულენოვანი შემოქმედებითი მხატვრული ტექსტები და ის დიდი მთარგმნელობითი, კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობა რასაც ისინი ორივე ქვეყანაში ეწევიან.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ მასში აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედების ესთეტიკური საფუძვლების გათვალისწინებით, წარმოდგენილია „ქართველი

ასულის შურისძიების“ თარგმანის კვლევა ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, როგორ პასუხობს იგი ეპოქის მოთხოვნილებებს, თანამედროვეთა ინტერესებს, მათ სულიერ მიზანსწრაფვას, ეპოქის ესთეტიკურ კრიტერიუმს და როგორ ამდიდრებს ეროვნულ საგანძურს.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი ცნობილი მწერალია. მას დიდი წვლილი მიუძღვის თურქული მხატვრული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში: ერთ–ერთ პირველს შეაქვს დასავლური ელემენტები თურქულ ლიტერატურაში. მის შემოქმედებას მხოლოდ მხატვრული ღირებულება არ გამოარჩევს, მწერალი წერდა თურქეთის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისთვისაც და თავის თხზულებებში ბევრს საუბრობდა ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის შესახებ, ცდილობდა მხატვრული ნაწარმოებისათვის საგანმანათლებლო დანიშნულების მინიჭებას.

ნაშრომის **სიახლეს** განაპირობებს ის ფაქტი, რომ გამოჩენილი თურქი მწერლისა და განმანათლებლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს, ქართული კულტურისა და ისტორიის გაცნობას თავისი მკითხველისთვის. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ მასში აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედების ესთეტიკური საფუძვლების გათვალისწინებით, წარმოდგენილია „ქართველი ასულის შურისძიების“ თარგმანის კვლევა ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, თუ როგორ პასუხობს იგი ეპოქის მოთხოვნილებებს, თანამედროვეთა ინტერესებს, მათ სულიერ მიზანსწრაფვას, ეპოქის ესთეტიკურ კრიტერიუმს და როგორ ამდიდრებს ეროვნულ საგანძურს.

ნაშრომის სიახლე და მთავარი ღირსებაა აჰმეთ მითჰათ ეფენდის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მწერლის ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფიის შეკრება, რაც მომავალში საშუალებას მისცემს მკვლევარებს გაითვალისწინონ წინამორბედ ლიტერატორთა კვლევები და საშუალება ჰქონდეთ მწერლის შემოქმედების შედარებით სრულად გააზრებისა.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ სპეციალური ლიტერატურა.

ნაშრომის სიახლედ მიგვაჩნია, ქართულ-თურქული ლიტერატურული მრავალ-წლიანი ურთიერთობების შესწავლა, ბოლო პერიოდში განვითარებული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობაში მიმდინარე ორმხრივი მთარგმნელობითი პროცესის შესწავლა დალიტერატურული პროცესის ერთ-ერთი გამორჩეული უბნის – ქართულად და ქართულიდან თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებების ინტერტექსტუალობის კვლევა, რომლის საშუალებითაც ვითარდება ორი მეზობელი ქვეყნის კულტურული დაახლოება.

კვლევის მეთოდები

ნაშრომში ტექსტის ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა, თეორიული ლიტერატურის ანალიზის მეთოდები, ძირითადი თეორიების განზოგადება და თანამედროვე ემპირიული კვლევები; ასევე გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდები, ემპირიული, შედარებითი, შეპირისპირებითი, ისტორიულ-შედარებითი.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა შესაბამის სამეცნიერო გამოკვლევებსა და მიღწევებს აღნიშნულ საკითხზე. შესაბამისად, ის პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობით დაინტერესებულ სპეციალისტებს, სტუდენტებს, მკვლევარებს.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის აპრობაცია შედგა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში 2018 წლის 22222 ივლისს (ოქმი N...)

რეცენზენტები:

საკვალიფიკაციო ნაშრომის ავტორს რეკომენდაცია მიეცა საძიებელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ნაშრომის ფრაგმენტები გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებსა და შრომათა კრებულებში. წაკითხულია საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე.

დისერტაციის სტრუქტურა:

ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის; ბიბლიოგრაფიის; თურქულიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან თურქულ ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებების ბიბლიოგრაფიისა და აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედების თურქული ბიბლიოგრაფიისგან. ნაშრომი მოიცავს **186** ნაბეჭდ გვერდს.

შესავალი

თავი. I. ქართულ –თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი

- 1.1. თურქეთში არსებული ლიტერატურული კერები და მოღვაწეები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში
- 1.2. ქართულ – თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან
- 1.3. მიმდინარე თურქულ – ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი

თავი II. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ცხოვრება და შემოქმედება

- 2.1. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიოგრაფია
- 2.2. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ლიტერატურული და საგანმანათლებლო საქმიანობა
- 2.3. აჰმეთ მითჰათ ეფენდის შეხედულებები

თავი III. აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიების“ მხატვრული ანალიზი

3.1. რომანის დაწერის თარიღი და ჟანრობრივი თავისებურებები

3.2. რომანის ისტორიული გარემო და პერსონაჟები

3.3. რომანის ენობრივი მხარე

დასკვნა

ბიბლიოგრაფია

1. თურქულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებები
2. ქართულიდან თურქულ ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებები
3. აკმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედების ბიბლიოგრაფია თურქულ ენაზე

გამოყენებული ლიტერატურა

დისერტაციის შინაარსი:

შესავალი

საკვალიფიკაციო ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, საუბარია ნაშრომის მეცნიერულ სიახლეზე, თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

ხაზგასმულია, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაინტერესებამ თურქეთის ისტორიის, თურქული ენისა და ლიტერატურისადმი და, შესაბამისად, თურქი მწერლების მიერ აქტიურად გაშლილმა მთარგმნელობითმა საქმიანობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართულ–თურქულ კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებაში. ეს ურთიერთობანი ყოველთვის იყო საგანგებო ინტერესების სფერო ქართველი და თურქი მეცნიერებისათვის. თუმცა, თურქული ლიტერატურისა თუ ლიტერატურის ისტორიის კვლევა ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეოცე საუკუნის ბოლოსკენ, გარკვეული მიზეზების გამო, შეფერხებული იყო. საქართველოში მიმდინარე დიდმა პოლიტიკურმა პროცესებმა

და ქვეყანაში არსებულმა მძიმე ვითარებამ თითქოს ასახვა ჰპოვა მეზობელი ქვეყნების ლიტერატურისა და კულტურის კვლევების საქმეში. თუმცა ამ საუკუნის დასაწყისიდან ყინული დაიძრა და თანდათანობით დაიწყო არა მხოლოდ მთარგმნელობითი საქმიანობა, არამედ თურქული მწერლობისა და ლიტერატურის ინტენსიური კვლევაც.

საკვლევი თემა **აქტუალურია** იმდენად, რამდენადაც ქართულ-თურქული ურ-თიერთობებში საინტერესოა კონკრეტული კულტურული კვლევა ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით. მე-20 საუკუნის ბოლო წლებამდე კომუნისტური რეჟიმის გამო ასეთი თემები ტაბუდადებული იყო. საბჭოთა იმპერიის მსხვერვის შემდეგ, განსაკუთრებით კი უკანასკნელ პერიოდში თურქეთთან ისტორიული თუ კულტურული ურთიერთობები მოექცამკვლევართა ინტერესის სფეროში. საკითხის სრულად შესწავლისთვის მნიშვნელოვანია არსებული კულტურული კომუნიკაციის, მისი პროგრესირების შესწავლა. საკითხის აქტუალობას კი განაპირობებს რეალური და ეპოქალური ასპექტები, რომლებიც სრულყოფილად აისახება ლიტერატურულ დისკურსში.

ნაშრომის მიზანია თურქულ - ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა, კონკრეტულად კი თურქულ ლიტერატურაში ქართული ელემენტის კვლევა. ეს განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მხატვრულ ნააზრევში. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მივიჩნით თურქი მწერლის აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედება, მის მემკვიდრეობაში ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდნენ თურქი მწერლები ქართული კულტურისა და ისტორიის მიმართ.

ნაშრომის სიახლეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ გამოჩენილი თურქი მწერლისა და განმანათლებლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს, ქართული კულტურისა და ისტორიის გაცნობას თავისი მკითხველისთვის. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლისაა, რომ მასში აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედების ესთეტიკური საფუძვლების გათვალისწინებით,

წარმოდგენილია „ქართველი ასულის შურისძიების“ თარგმანის კვლევა ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, როგორ პასუხობს იგი ეპოქის მოთხოვნილებებს, თანამედროვეთა ინტერესებს, მათ სულიერ მიზანსწრაფვას, ეპოქის ესთეტიკურ კრიტერიუმს და როგორ ამდიდრებს ეროვნულ საგანძურს.

ნაშრომის სიახლე და მთავარი ღირსებაა აჰმეთ მითჰათ ეფენდის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მწერლის ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფიის შეკრება, რაც მომავალში საშუალებას მისცემს მკვლევარებს გაითვალისწინონ წინამორბედ ლიტერატორთა კვლევები და საშუალება ჰქონდეთ მწერლის შემოქმედების შედარებით სრულად გააზრებისა. ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ სპეციალური ლიტერატურა.

ნაშრომის სიახლედ მიგვაჩნია, ქართულ-თურქული ლიტერატურული მრავალ-წლიანი ურთიერთობების შესწავლა, ბოლო პერიოდში განვითარებული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობაში მიმდინარე ორმხრივი მთარგმნელობითი პროცესის შესწავლა დალიტერატურული პროცესის ერთ-ერთი გამორჩეული უბნის – ქართულად და ქართულიდან თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებების ინტერტექსტუალობის კვლევა, რომლის საშუალებითაც ვითარდება ორი მეზობელი ქვეყნის კულტურული დაახლოება.

თავი პირველი. დისერტაციის პირველი თავი იყოფა სამ პარაგრაფად: 1. თურქეთში არსებული ლიტერატურული კერები და მოღვაწეები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში 2. ქართულ – თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან 3. მიმდინარე თურქულ – ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი;

პირველ პარაგრაფში განხილულია ქართულ – თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი და თურქეთში არსებული ლიტერატურული კერები და მოღვაწეები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, საქართველო-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის მხოლოდ წინა საუკუნეში დაიწყო.

თურქეთში შექმნილი ქართულენოვანი მხატვრული შემოქმედება თავდაპირველად ფოლკლორული ნიმუშებით შემოიფარგლებოდა და იმ ზეპირსიტყვიერ ტექსტებს მოიცავდა, რომლებიც იქ მცხოვრებმა ჩვენებურებმა შექმნეს სხვადასხვა დროს. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ამ ტექსტების ჩაწერა ძალზე იშვიათად ხდებოდა, მათი უმეტესობა დღესდღეობით დაკარგულია და ჩვენამდე მათ მიერ შექმნილი ფოლკლორული შემოქმედების მცირე ნაწილია მოღწეული.

ჩვენებურების ქართულენოვანი მხატვრული შემოქმედების ისტორიაში ახალი ეტაპის დადგომა და ამ თვალსაზრისით იქაურ სახალხო მთქმელთა და მხატვრულ სიტყვას შეჭიდებულ ავტორთა რამდენადმე გააქტიურება უკვე მუჰაჯირობასთან აღ-მოჩნდა დაკავშირებული. კერძოდ, ამ ტრაგიკული მოვლენის შედეგად თურქეთში გახი-ზნული ის ქართველები, რომელნიც შემოქმედებითი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული, თავიანთ ნოსტალგიურ გრძნობებს ქართულ ენაზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი (იშვიათად წერილობითი)ფორმით შექმნილი მხატვრული ტექსტით გამოხატავდნენ.

პირველ პარაგრაფში ვრცლადაა მიმოხილული სტამბოლის ქართული სავანის მოღვაწეთა მემკვიდრეობა, ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართათვის მნიშვნელოვანია სტამბოლის ქართული სავანის, როგორც ქართული კულტურის უმლიერესი კერისა და იქ შექმნილი თარგმნილი თუ ორიგინალური ნაწარმოებების მიმოხილვა.

მეორე პარაგრაფში განხილულია ქართულ – თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან. მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან იწყება თურქული მწერლობის ნიმუშების თარგმნა და მკითხველთათვის ამ ლამაზი სამყაროს გაცნობა. პირველ რიგში მიმოხილულია ამ პერიოდში აღმოსავლური ლიტერატურის თარგმანის აკადემიურ გამოცემა „არმაღანში“ ასახული თურქული მწერლობის ნიმუშების თანმიმდევრული მიმოხილვა, ამ კრებულში ასახულია დამოკიდებულებანი მეზობელი ქვეყნების კლასიკური და მიმდინარე

ლიტერატურული პროცესებისადმი, ესაა ერთი მხარე თურქული მწერლობის ქართველი მკითხველისთვის მიწოდებისა, რომლის პარალელურადაც საქართველოში აქტიურად დაიწყო თურქული ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმნა და გამოცემა. ვთვლით, რომ ეს აღწერა უფრო თვალსაჩინოს გახდის ქართულ – თურქული ლიტერატურული ურთიერთობების მრავალმხრივობასა და ქართველი მთარგმნელებისა და ლიტერატორების მუდმივ ინტერესს მეზობელი ქვეყნის ლიტერატურისადმი. აქვეა მიმოხილული მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში ორივე ქვეყანაში მოღვაწე მთარგმნელობითი ურთიერთობა.

მესამე პარაგრაფში ვრცლადაა განხილული მიმდინარე თურქულ – ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი. ამ თავში გატარებულია თვალსაზრისი, ორი ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების მრავალმხრივობასა და ქართველი მთარგმნელებისა და ლიტერატორების მუდმივ ინტერესის მნიშვნელობაზე მეზობელი ქვეყნის ლიტერატურისადმი. ბოლო ოცწლეული შეიძლება განვითარების უფრო მაღალ საფეხურად ჩაითვალოს ქართულ–თურქული ლიტერატურული ურთიერთობებისა და თუნდაც, მხატვრული ნაწარმოებების თარგმანის თვალსაზრისით. პირველ რიგში, საინტერესო ლიტერატურულ მოვლენად გვესახება თურქეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების ქართულენოვანი შემოქმედებითი მხატვრული ტექსტები და ის დიდი მთარგმნელობითი, კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობა რასაც ისინი ორივე ქვეყანაში ეწევიან.

თურქული ლიტერატურისა თუ ლიტერატურის ისტორიის კვლევა ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეოცე საუკუნის ბოლოსკენ საერთოდ მივიწყებული იყო. საქართველოში მიმდინარე დიდმა პოლიტიკურმა პროცესებმა და ქვეყანაში არსებულმა მძიმე ვითარებამ თითქოს ასახვა ჰპოვა მეზობელი ქვეყნების ლიტერატურისა და კულტურის კვლევების საქმეში. თუმცა ამ საუკუნის დასაწყისიდან ყინული დაიძრა და თანდათანობით დაიწყო არა მხოლოდ

მთარგმნელობითი საქმიანობა, არამედ თურ–ქული მწერლობისა და ლიტერატურის ინტენსიური კვლევაც.

თუ მეოცე საუკუნის ბოლოს არსებულ, ზემოთ აღწერილ, ვითარებას გავით–ვალისწინებთ, ბოლო ოცწლეული შეიძლება განვითარების უფრო მაღალ საფეხურად ჩაითვალოს ქართულ–თურქული ლიტერატურული ურთიერთობებისა და თუნდაც, მხატვრული ნაწარმოებების თარგმანის თვალსაზრისით. პირველ რიგში, საინტერესო ლიტერატურულ მოვლენად გვესახება თურქეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების ქართულენოვანი შემოქმედებითი მხატვრული ტექსტები და ის დიდი მთარ–გმნელობითი, კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობა რასაც ისინი ორივე ქვეყანაში ეწევიან. თანამედროვე თურქული ლიტერატურის რამდენიმე წარმომადგენელი (ფაჰრედინ ჩილოღლუ (ფარნა–ბეჟა ჩილაშვილი), ეშრეფ ილმაზი (მახარაძე), სულეიმან ინოღლუ (ინაშვილი) გარდა თურქული ენისა, ქართულადაც წერენ მხატვრულ ტექსტებს. მართალია მათი შემოქმედების ქართულენოვანი ნიმუშები მხატვრული ოსტატობის მხრივ თურქულ ენაზე დაწერილ მათსავე ნაწარმოებებს ვერ შეედრება, მაგრამ ამჯერად მთავარი და არსებითი ეს კი არ არის, არამედ ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნული მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და ოთხსაუკუნოვანმა ყინულმა დნობა დაიწყო. სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში მიმოხილულია ამ ავტორთა განუხრელი ღვაწლი ორი ქვეყნის კულტურულ–ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავების საქმეში.

თანამედროვე ქართულ–თურქული ლიტერატურული ურთიერთობები მრავალი ფორმით ხორციელდება. ლიტერატურულ ურთიერთობათა ცალკეული ფაქტების მოძებნას, შესწავლას, განზოგადებას, ლიტერატურული კონტაქტების როლის წარმოჩენას დიდი ყურადღება ექცევა. საინტერესო ურთიერთობანი ყოველდღიურად ახალ გზებს გვისახავს ამ ორი ქვეყნის მწერლობების დაახლოების მაგალითზე გავიაზროთ თუ რამდენად წაკითხვადი და ხელმისაწვდომი გახდება ქართული მწერლობა თურქი მკითხველების და მწიგნობრების ფართო აუდიტორიებისთვის.

თურქულიდან ქართულ მწერლობაში გადმოტანილი მხატვრული ნაწარმოებები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში „ლიტერატურული პროცესების თვალსაზრისით თავის ძლიერების ფაზაში შეაბიჯებს ინტერტექსტულობა, რაც გულისხმობს ტექსტის შინაგან კავშირებს, მიმართულს არა გარეთ, ცხოვრებისეული რეალობისაკენ, არამედ ნაციონალური და საერთაშორისო კულტურული წიაღისაკენ. დასავლური კანონი ახალ წესრიგს აწესებს, ხოლო პროცესი განსაკუთრებულ სიღრმეს იძენს გახსნილი საზღვრების პირობებში და თანდათან იპყრობს მსოფლიო სივრცეს (თუმცა ლიტერატურის კრიტიკოსების ერთი ნაწილის აზრით, აღმოსავლურმა კულტურამ ინტერტექსტულობის თავისი მოდელი შესთავაზა მსოფლიოს და პირიქით გავლენა იქონია დასავლურ პროცესზე)(რატიანი, 2015: 189–190).

ქართულმა ლიტერატურამ განვითარების საკუთარი გზა განვლო, რომელიც დეტერმინირებული იყო ისტორიული რეალიებითა და სინამდვილით, ცხოვრების წესითა და აზროვნების მოდელით. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქართული, ისე თურქული ლიტერატურა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მოწყვეტილი იყო ევროპულ მხატვრულ თუ ზოგადად კულტურულ ცნობიერებას, რაც ქართულ მწერლობაში აისახა თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში სპარსულ–აღმოსავლური მოტივებისა და თემების მოძალებით, მეცხრამეტე საუკუნიდანეს პროცესი, ახალი ლიტერატურული და წიგნიერი საზოგადოების განვითარებით დასრულდა. მეოცე საუკუნის პოსტკოლონიურმა რეალობამ ქართული მწერლობა მრავალგვარი ჟანრული ნარატივის ძიების წინაშე დააყენა და უნდა დავეთანხმოთ მკვლევარს იმაში, რომ „თავისი თემებითა და სტილისტური მოდელებით, დისკურსული პლანებითა და ამოცანებით თანამედროვე ქართული მწერლობა გლობალური ლიტერატურული სამყაროს სრულუფლებიანი წევრია, მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი, და, ამავე დროს, არნახულად ორიენტირებული საკუთარ ღირებულებებზე (რატიანი, 2015: 206) სწორედ აქ იკვეთება ზემოთ აღნიშნული გამძაფრებული ინტერესი თურქული მწერლობისადმი ქართულ რეალობაში, რადგანაც, ვთვლით, რომ სწორედ ასეთივე

ღირებულებებზე ორიენტირებულ კარგ მწერლობას თარგმნიან ჩვენი მთარგმნელები მეზობელი ქვეყნის პროზიდან და პოეზიიდან.

მიმდინარე ორმხრივი მთარგმნელობითი პროცესი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული კულტურულ–ლიტერატურული ურთიერთობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჭეშმარიტებას, „თარგმანის ფართო მნიშვნელობა ეროვნული კულტურისათვის მართლაც განუსაზღვრელად დიდია“ (ჭელიძე, 1989:296). ლიტერატურული პროცესის ერთ–ერთი გამორჩეული უბანი – ქართულად და ქართულიდან თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები ხელს უწყობს ტექსტების ინტერტექსტულობის საშუალებით ორი მეზობელი ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების დაახლოებას. ხელოვნურდ შექმნილი ბარიერი, რაც საუკუნეების განმავლობაში აფერხებდა ინტერკულტურულ საგანმანათლებლო ურთიერთობებს ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა სწორ კლაპოტში მოაქცია.

თურქეთის ისტორიისა, თურქული ენისა და ლიტერატურისადმი ინტერესი ყოველთვის იყო საქართველოში, რაც დღესაც არ მინელებულა. უამრავი მონოგრაფია, დისერტაცია, სტატია, გამოკვლევა დაიწერა თურქული ენის თავისებურებების, ქარ–თულ ენაშიშემოსული თურქული სიტყვების, ქართულ–თურქული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

თურქული ლიტერატურით ქართველი მკითხველის დაინტერესება განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში შეინიშნება. ლიტერატურის კრიტიკოსები ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს ასე ხსნიან: ძალიან ბევრი მსგავსება ქართულ და თურქულ კულტურას შორის ერთერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია.

თავი მეორე. დისერტაციის მეორე თავი იყოფა სამ პარაგრაფად: 1. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიოგრაფია; 2. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ლიტერატურული და საგანმანათლებლო საქმიანობა; 3. აჰმეთ მითჰათ ეფენდის შეხედულებები

საკვალეფაკაციო ნაშრომის მეორე თავში განხილულია აჰმეთ მითჰათ ეფენდის ცხოვრებისა და შემოქმედების

მნიშვნელოვანი ეტაპები: აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიოგრაფია, ლიტერატურული და საგანმანათლებლო საქმიანობა და შეხედულებები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. მწერალი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მიმართულებას თურქული საზოგადოების ევროპული განათლების რადიუსზე გამართვისთვის იყენებდა. ის ყველაფერს აკეთებდა, რომ საზოგადოება ევროპულ კულტურას ზიარებოდა. მწერლის მთავარი მიზანი დასავლური ელემენტების შეტანაა თურქულ მწერლობაში.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი დღემდე ითვლება ყველაზე ნაყოფიერ მწერლად თურქული ლიტერატურის ისტორიაში. მის კალამს ეკუთვნის 36 რომანი და 200 – ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები. მისთვის მეტსახელიც კი შეურქმევიათ მწერლებს – „მწარმოებელი მანქანა“. თურქული ლიტერატურის ისტორიაში აჰმეთ მითჰათი ითვლება ნოვატორ მწერლად, პირველი თურქული ნოველებისა და რომანების ავტორად.

როგორც ცნობილია, ოსმალეთის იმპერიის მოძველებული თეოკრატიული სისტემის მოშლა და ქვეყნის პროგრესისკენ ორიენტაცია იმპერიაში რეფორმების (თანზიმათის) განხორციელებით დაიწყო, შესაბამისად, ევროპასთან დაახლოების პროცესში დასავლური აზროვნების გავლენაც გამოიკვეთა. სახელმწიფოში გატარებულ რეფორმებს სერიოზული ცვლილებები მოჰყვა ლიტერატურაშიც. სავალალო მდგომარეობაში მყოფი მწერლობა სერიოზულ განახლებას საჭიროებდა. მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებიდან თურქული წერლობის მოდერნიზაცია იწყება და ის ტრადიციული აღმოსავლური ლიტერატურის ჩარჩოებიდან გამოდის. ლიტერატურაში განხორციელებული ცვლილებები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ახალი აქამდე უცნობი ჟანრების დამკვიდრება; სამწერლობო ენის რეფორმირება. ახალი მწერლობის ჩამოყალიბების პროცესი მახლობელი აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში ერთგვაროვნად განხორციელდა: დასავლური ლიტერატურის გაცნობა, თარგმნა, სიუჟეტებისა და მხატვრული ხერხების სესხება.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი თანზიმათის ერთერთი პოპულარული მწერალია. ის წერდა ყველა სფეროსა და

საკითხთან დაკავშირებით და ევროპის ცივილიზაციასა და ეროვნულ იდეებს გამოხატავდა. ხალხსა და ეროვნულობას ანიჭებდა უპირატესობას. მისი კითხვისა და განთლების მიზანი იყო საზოგადოების აყვანა ევროპულ ცივილიზაციამდე. ამ გაგებით, ის მხარს უჭერდა დასავლური კლასი-კოსების შემოსვლას თურქულ ენაში.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი წერდა ხალხისთვის, ცნობილი იყო როგორც სახალხო მწერალი. მას ჰქონდა დიდი სურვილი, ესწავლებინა საზოგადოებისთვის, მიეცა ცოდნა, შეძლებოდა ხალხის გულისცემის შეგრძნება, ხალხის ენის გამოყენებით მასწავლებლის მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა. მწერალი კალამს საზოგადოების განათლებისთვის იყენებდა, ამიტომაც ხელოვნება მისთვის მეორეხარისხოვანი იყო. მის მიერ გამოყენებული ენა შეესაბამებოდა განმანათლებლურ მიზნებს. ის თავის ნაშრომებს მარტივი ენით ქმნიდა. მისი სურვილი იყო საჭიროების გამო დიდი ყურადღება მიექცია განათლების განვითარებისთვის, ცდილობდა ხალხისთვის სასარგებლო ინფორმაციები მიეწოდებინა. მწერლის უმთავრესი მიზანი იყო ხალხში კითხვის სურვილი და სიყვარული გაედვივებინა.

მწერალს ფართო წარმოსახვისა და კარგი მეხსიერების უნარი აქვს, მისი ყოველი ლიტერატურული ნაშრომი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციას ადარებს ერთმანეთს, ერთ საცერში გაატარებს და ცდილობს ერთ სინთეზად შერწყმული მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას. ამ მიზნით, რომანებით, მოთხრობებით, თეატრალური წერილებით და ჟურნალისტური სტატიებით ცდილობს მკითხველამდე მივიდეს. აჰმეთ მითათმა კარგად იცის აღმოსავლეთმცოდნეობა და ფილოსოფია. მწერალი ხშირად სასულიერო ტიპის ნაშრომებსაც ქმნის.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ლიტერატურული პიროვნება შემდეგნაირად შეგვიძლია დავახსიანოთ:

1) რეფორმების პერიოდის ყველაზე პოპულარული მწერალი, რომელიც მთელი გულით წერდა, სახელმწიფოს სხვადასხვა სამსახურში მოღვაწე, ჟურნალისტი, ხელოვანი.

2) ის მაშინდელი საზოგადოების განათლებისთვის წერდა.

3) ის მრავალმხრივი შემოქმედია, მის კალამს ეკუთვნის 200–მდე ნაშრომი.

4) მისი ძირითადი ინტერესის სფეროებია: ჟურნალისტიკა, მხატვრული ლიტერატურა, თეატრალური წერილები, ეკონომიკა, პედაგოგიკა, რელიგია, ფილოსოფია, ისტორია, სახელმძღვანელოები და ა. შ.

5) მწერალი თავისი შემოქმედების ძირითად დანიშნულებად საზოგადოების სულიერ–ინტელექტუალურ და ფილოსოფიური–ფსიქოლოგიური ცოდნის მიწოდება ხალხისთვის, რასაც თან ერთვოდა ყოფითი სოციალური პრობლემების მათთვის მისაწვდომ ფორმებში დახატვა და მიწოდება, რაც მხატვრული ნაწარმოების წაკითხვასთან ერთად საზოგადოებასი კითხვის სიყვარულსაც დანერგავდა.

6) მწერლის სტილური მრავალფეროვნება მისი ბიბლიოგრაფიის ჩამონათვალითაც თვალსაჩინოა, ის სათქმელის გადმოსაცემად არჩევს სხვადასხვა გამოსახვის ხერხებს, ჟანრობრივად მწერლის შემოქმედება მრავალმხრივია: მოგზაურობა, თავგადასავალი, სიყვარული, ისტორია, საიდუმლოები და სხვ.

7) აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ე. წ. სახუმარო ჟანრის ლტერატურას, მას ეკუთვნის „სახუმარო მოთხრობების“ 24 ნაწილიანი ბიბლიოთეკის სერია. მწერლის სტილური მრავალფეროვნება ჩანს სინამდვილის მეტაფორულად გადააზრებაში, რაც საინტერესოდაა გამოყენებული ამ მოთხრობებში.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიბლიოგრაფია:

ამ ნაშრომის მომზადების დროს ბევრი წყარო იყო გამოყენებული. ასევე მნიშვნელოვანი იყო წიგნების კლასიფიცირება ჟენევის მიხედვით კლასიკოსით, ქრონოლოგიური წესრიგის წიგნების დახარისხებისაც საინტერესო იყო. შემოქმედების ეს ჩამონათვალი მკითხველისათვის საჭირო და საინტერესო იქნება.

ამგვარად, ბიბლიოთეკაში არსებული აჰმეთ მითჰათ ეფენდის საკუთრებაში არსებული საავტორო და თარგმნილი წიგნების რიცხვი დაახლოებით 230-ს შეადგენს. თუ მიემატება

გამოქვეყნებული სტატიები ჟურნალებში და გაზათებში, სავარაუდოა, რომ ეს რიცხვი დაახლოებით 250 იქნება.

მისი გამომცემლობითი ცხოვრების ყოველ ნაყოფიერ წელს ერთ რომანს მატებდა, მის კალამს 34 რომანის კრებული ეკუთვნის, დღესდღეობით მისი განსხვავებული მოპაექრე შეხედულებების შეფასება და მისი განხილვა როგორც „რომელიმე მხარის დამჭერი მწერალად“ ან „ყბედ ადამიან“-ად, მის მიმართ ჩადენილი უსამართლობის მტკიცებულება იქნება. აჰმეთ მითჰათი ევენდი ალექსანდრე დიუმას, ემილ გაბორიუს, პოლ დე კოკის, მარი ანა რედკლიფის, ოქტავ ფილეტის თარგმანს აკეთებდა და მის ნათარგმნებს რა თქმა უნდა ამ მწერლების გავლენა ეტყობა. პოლ დე კოკის, დიდი ფრანგი რომანისტის მიზეზით, ჯოისის „ულისეს“ ტექსტებში სიტყვის თემა თვალს მიღმა არ უნდა დარჩეს. მეორე მხრივ, მითჰათ ევენდომ, სერვანტესის და ბალზაკის მსგავსი დიდი რომანისტების რომანის წაკითხვის შემდეგ მთელი ცოდნა თავის ნაწარმოებებში გადმოსცა.

სამწუხაროდ, აჰმეთ მითჰათ ევენდის ლათინურ ანბანზე ციტირებული ნაშრომების ნაწილი დაიკარგა. მწერლობის მიმართ პატივით აღსავსე, საკუთარ თავს „საბეჭდი მანქანა“ -ს კი არა, „მწერლობის მუშა“-ს უწოდებდა,- მისი მოკრძალებული სტილი - ნამდვილად ღირს რომ არასოდეს მიეცეს დავიწყებას.

აჰმეთ მითჰათ ევენდის ბიბლიოგრაფია შემდეგნაირად დავალაგეთ:

მოთხრობები: შესაძლებელია ამ ტიპის ტექსტების შეჯამება ორ ჯგუფში. პირველი არის მოკლე/პატარა ჟანრის ტიპით მოთხრობები, მეორე კი სახელად რივაიათ გრძელი/დიდი. არსებობს ლიტერატორთა შეხედულებები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი დიდი ამბავი, შეიძლება ჩაითვალოს რომანებად. სინამდვილეში, თავადი მწერალი ამ ნაწერებს მოთხრობებად მიიჩნევს.

რომანები: ზოგიერთი წიგნი ძალიან მოცულობითია, დანარჩენები კი საშუალო ზომისაა. დაახლოებით 40 რომანი არსებობს, აქედან 35 დიდი და 5 საშუალოა.

თეატრალური წერილები: ესენია აჰმეთ მითჰათის ნარომები, მაგრამ იმდროინდელი ადამიანების მოგონებებს თუ მეტი ყურადღებით მოვეკიდებით, აღმოვაჩინოთ, რომ ბეიქოვის რაიონში მოქმედი თეატრებისა და იმ თეატრებში წარმოდგენილი სანახაობების შესახებ ამომწურავი ცნობები არ შემონახულა. შესაძლოა არც იყო, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ინფორმაცია არსებობდა, თუმცა დრო-ჟამისგან უკვალოდაა გამქრალი. ამიტომაც ამ წერილების შესწავლა საინტერესო იქნება თეატრის ისტორიისთვის.

მოგონება: მოგონებების ერთადერთ წიგნს, რომელიც ამჟამად ხელთ გვაქვს, უნდა ვუმაღლოდეთ მწერლის ვაჟს ქამილ იაზგიჩს, რომელმაც შეკრიბა მამის მოგონებები და წიგნად გამოსაცემად მოამზადა.

მოგზაურობა: ამ მოგზაურობათა ციკლიდან ერთ - ერთი ეხება მწერლის საზღვარგარეთ, მეორე კი ანატოლიაში მოგზაურობას. წიგნებში საინტერესოა აღწერილი მწერლის შთაბეჭდილებები თანზიმათის (ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი წლები) და დასავლეთ ევროპაში მოგზაურობის შესახებ.

ისტორიული წიგნები: ჩვენთვის ცნობილია, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდი დაინტერესებული იყო ისტორიით, უფრო მეტიც, ის თავად იყო ანგარიშგასაწევი ისტორიკოსი. მისი აზრით, ლიტერატურასა და ისტორიას ერთი ძირეული ნიშანი განასხვავებდა. ისტორია ყოველთვის ემყარებოდა რეალურ ფაქტებს, ხოლო ლიტერატურულ ძეგლებში ბევრი იყო მხატვრული გამონაგონი, აქ მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ფაქტი, არამედ მომხდარის მწერლისეული შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალური მწერლობა არ განიცდიდა ისტორიკოსთა სიმცირეს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდის მოღვაწეობამდე თითქმის არ შექმნილა უფრო ღირებული და მნიშვნელოვანი ნაწარმოები. „ისტორიული რომანის მამად“ წოდებულმა აჰმეთ მითჰათ ეფენდიმ დაწერა და შთამომავლობას დაუტოვა არაერთი ძალიან საინტერესო ნაშრომი. მიუხედავად ისტორიკოსთა სიმრავლისა, მასზე უფრო პროდუქტიული მწერალი არ არსებობს.

რელიგია და ფილოსოფია:მართალია, აჰმეთ მითჰათ ეფენდის არაერთი წიგნი აქვს დაწერილი, სადაც განხილულია სარწმუნოებრივი და ფილოსოფიური საკითხები, მაგრამ არა იმიტომ, რომ სურდა მაჰმადიანთა დაცვა, მათ უპირატესობაზე საუბარი, არამედ იმიტომ, რომ გონიერ კაცს წაეკითხა, შეესწავლა, დაფიქრებულიყო და თავადვე გაეკეთებინა შესაბამისი დასკვნები. იგი ფილოსოფიურ საკითხებზე ხან პირდაპირ, დაუფარავად, ხან კი ქარაგმულად წერდა, თითქოს მიანიშნებდა მთავარ სათქმელზე.

ეკონომიკა, პედაგოგიკა და სხვა: აჰმეთ მითჰათ ეფენდი ბევრს წერდა, განსხვავებულ საკითხებსა და თემებს ეხებოდა, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მისი შეხედულებები ლიტერატურის თეორიის შესახებ.

სახელმძღვანელოები: აჰმეთ მითჰათ ეფენდიმ სახელმძღვანელო წიგნებზე მუშაობისას იგრძნო საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საჭიროება, რათა საუბრისას ნააზრევს უფრო ჩამოყალიბებული სახე მიეღო, ამ მიზნით ის დაუკავშირდა მეჰმეთ აკიფს (მეჰმეთ აკიფ ერსოი - თურქეთის ამჟამინდელი ჰიმნის ტექსტის ავტორი). ისინი ერთად მუშაობდნენ უნივერსიტეტში (ოსმალური სახელწოდება - დარუფუნუნი), მათ ერთად მოამზადეს სახელმძღვანელო წიგნი, თუმცა იმ პერიოდში საჭიროდ არ ჩათვალეს ამ წიგნის დაბეჭდვა. მოგვიანებით, წლების შემდეგ, მათი ნააზრევი აქსექის მკვიდრმა აჰმეთ ჰამდიმ ერთ წიგნად შეკრიბა და დაბეჭდა.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის შეხედულებები

როგორც აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევამ გვიჩვენა, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მწერალი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მიმართულებას თურქული საზოგადოების ევროპული განათლების რადიუსზე გამართვისთვის იყენებდა. ის ყველაფერს აკეთებდა, რომ საზოგადოება ევროპულ კულტურას ზიარებოდა. მწერლის მთავარი მიზანი დასავლური ელემენტების შეტანაა თურქულ მწერლობაში. ნებისმიერი

შემოქმედის ლაბორატორიაში მხატვრულ ღირებულებაზე ზრუნვა მთავარია, მაგრამ მწერალი, უმთავრესად, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებაზე ზრუნავს, რადგანაც მისი შეხედულებით თუ ბევრს ისაუბრებდა ლიტერატურაზე, ისტორიაზე, სხვადასხვა მეცნიერებებზე, ამით მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა სხვა დანიშნულებას მიიღებდა.

აჰმეთ მითათ ეფენდი ხალხისათვის წერდა, მათი განათლება იყო მთავარი მიზანი მისი მწერლობისა, იმ პერიოდის ინტელიგენციას იდეებით მიმართავდა. მან ოსმალეთის საზოგადოებას დასავლური ცივილიზირებული სამყარო მთელი პასუხისმგებლობით აუხსნა და გააცნო ის ძირითადი ტენდენციები, რაც მაშინ განვითარებულ ქვეყნებში არსებობდა.

თავი მესამე: დისერტაციის მეორე თავი იყოფა სამ პარაგრაფად: 1. რომანის დაწერის თარიღი და ჟანრობრივი თავისებურებები; 2. რომანის ისტორიული გარემო და პერსონაჟები; 3. რომანის ენობრივი მხარე

მესამე თავი ეძღვნება აჰმეთ მითათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიების“ მხატვრულ ანალიზს: პირველ პარაგრაფში გაანალიზებულია რომანის დაწერის თარიღს და ჟანრობრივ თავისებურებებს: აჰმეთ მითათ ეფენდი (1844–1912) თურქული ლიტერატურის ერთ–ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. იგი, თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში რეფორმების პერიოდის სახელით ცნობილ წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. აჰმეთ მითათ ეფენდი მუდმივად სიახლეებში მყოფი ავტორია, სწორედ ამიტომ, მის სახელთან ბევრი ინოვაციაა დაკავშირებული. მაგალითად: მან დაწერა პირველი დეტექტიური რომანი („დანაშაულნი სასტიკნი“); მან გამოსცა პირველად მოთხრობების კრებული („ჰამზავნი თავშესაქცენი“); მის კალამს ეკუთვნის ნატურალისტური რომანი („აღმოჩენანი“) და სხვ.

როგორც ჩვენი საკვლევი ნაწარმოების ოსმალურიდან თანამედროვე თურქულ ენაზე მთარგმნელი აბდულაჰ თათაროღლუ წიგნის წინასიტყვაობაში წერს, ნაწარმოები თავდაპირველად გახეთქი „მაცნე ჭემმარიტებისა“ დაიბეჭდა, წიგნი ოსმალურ ენაზე გამოვიდა 1889 წელს და შემდეგ არ

დაბეჭდილა. მეორედ წიგნი 2003 წელს, თურქული პალატის ინიციატივით, თანამედროვე ანბანით გამოიცა. თანამედროვე თურქულ ენაზე რომანის თარგმანი 2015 წელს გამოიცა. ეს რომანი ლიტერატურის ისტორიკოსების, კრიტიკოსებისა თუ მკვლევართა მიერ ბიბლიოგრაფიებში იხსენიება, თუმცა მისი შინაარსის მიმოხილვა არსად გვხვდება. „ქართველი ასულის შურისძიება“ ეგზოტიკური რომანის ჟანრს განეკუთვნება. აღნიშნული ლიტერატურული მიმართულებაც სწორედ აჰმეთ მითჰათ ეფენდიმ დაამკვიდრა თურქულ ლიტერატურაში (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 5). რაც შეეხება აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანს, მალევე, როგორც კი თანამედროვე თურქულ ენაზე ითარგმნა, მისმა ქართულმა თარგმანებმაც არ დააყოვნა. იგი ოსმალური ენიდან 2016 წელს თარგმნა თამარ ალფენიძემ, რომელმაც წყაროდ რომანის 1895 წელს ოსმალურ თურქულად გამოცემული წიგნი გამოიყენა და იმავე წელს თანამედროვე თურქული ენიდან თარგმნა თამარ თევდორაძემ.

ევროპელთა მიერ საქართველოს თავიდან „აღმოჩენა“ მე-16 – მე-17 საუკუნეები–დან დაიწყო. ინტერესი საქართველოსადმი, როგორც აღმოსავლეთის ეგზოტიკური ქვეყნისადმი, თავდაპირველად ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებში გამოიკვეთა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები იტალიელმა მისიონერებმა გადადგეს. მნიშვნელოვანია ცნობილი იტალიელი მოგზაურის, პიეტრო დე ლა ვალეს ჩანაწერები საქართველოზე, ასევე ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის წიგნი „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, რომლის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი 1672-73 წლებში შარდენის საქართველოში მოგზაურობას მიეძღვნა. ავტორის უმუშალო შთაბეჭდილებები შევსებულია ძველ ავტორთა ცნობებით საქართველოს შესახებ. წიგნში ვხვდებით ძველი თბილისის პირველ გრაფიკულ ჩანახატს, რომელიც შარდენის თანამგზავრის, მხატვარ გრელოს მიერ უნდა იყოს შესრულებული. ვატიკანის არქივებში დაცულია დონ პიეტრო ავიტაბილეს, არქანჯელო ლამბერტის, ჯუზეპე ჯუდიჩის, ანტონიო ჯარდინას, დონ კრისტოფორო დე კასტელის, ანდრეა ბორომეოს და სხვათა საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კრისტოფორო დე

კასტელის ჩანახატები და ჩანაწერები და არქანჯელო ლამბერტის მიერ მე- 17 საუკუნის 50 -იან წლებში იტალიაში გამოქვეყნებული წიგნები – „სამეგრელოს აღწერა“ და „წმინდა კოლხიდა“, რომლებშიც მოცემულია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, ყოფისა და კულტურის, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ვრცელი მიმოხილვა (ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე, 2016: 7–8).

აჰმეთ მითჰათ ეფენდი როგორც ძალიან ბევრი ლიტერატურულ–საგანმანათლებლო სიახლეების ინიციატორი თავის ქვეყანაში, მოგზაურობითი ჟანრის ფუძემდებელიცაა, ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ მან საქართველო აირჩია სამოგზაუროდ და ქართული კულტურისა და ისტორიის გაცნობა დაისახა მიზნად თავისი მკითხველისთვის. ჩვენი აზრით, ეს არაა შემთხვევითი, ამაზე მისი წარმომავლობა და ქვეყანაში მოსახლე მუჰაჯირთა შთამომავლობის რაოდენობაც იქონიებდა გარკვეულ ზემოქმედებას.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ნაწარმოების მცირე პარალელების გავლენაც კი ცნობილი მოგზაურების მიერ აღწერილ საქართველოს ისტორიულ, კულტურულ, ეთნოგრაფიულ და სხვა ტრადიციებთან, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები არის მხატვრული ჟანრის ეგზოტიკური რომანი, მას ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რაც მოგზაურობის აღწერას შეეფერება მაშინდელი ევროპული სტანდარტებით, როგორც თარგმნილი წიგნის წინასიტყვაობაშია მითითებული „ნაწარმოების სახელწოდებაც და შინაარსიც მეტად საინტერესოა. როგორც აჰმედ მითჰათ ეფენდი იგონებს, რომანი გერმანელი მოგზაურის, გილომ სანქის მონაყოლზეა დაფუძნებული. თუმცა, ავტორი თითქმის ორი წლის განმავლობაში საქართველოს ისტორიას იკვლევდა. აღსანიშნავია, რომ წიგნში ასახული ისტორიული ფონი ეფუძნება საქართველოს ისტორიულ რეალობას“((აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 6).

შეიძლება ითქვას, რომ თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით ჩვენი მწერალი ეგზოტიკით გატაცებაში უფრო ზომიერია და ცდილობს რეალობა შემოიტანოს ამ ჟანრის

ნაწარმოებში, თუმცა არც მხატვრული გამონაგონის სიმცირე შეინიშნება, როგორც ცნობილია, წიგნში დასახელებული პერსონაჟები არ არიან ისტორიული პირები, მათ შორის ყველაზე მთავარი პერსონაჟი მარიამ დედოფლის შვილი ელენე, ბატონიშვილი გადილა, დანიელი, ტიგრანი, მიჰრან ბარონი, პოლიციის უფროსი და სხვ. აქ რეალური და არარეალური ზომიერად ერწყმის ერთმანეთს და საბოლოოდ მხატვრული ხერხებისა და საინტერესო თხრობის ნაზავი მკითხველს კეთილად განაწყობს სამოგზაურო ქვეყნისადმი.

ნაწარმოებისთვის დართულ ბოლოსიტყვაობაში სწორადაა შენიშნული, რომ ავტორი საკმაოდ კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიას, და კულტურას, მას გული შეტკივა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხზე: „საქართველოზე იმდენად ვარ შეყვარებული, რომ აქ მოგზაურობა არასდროს მზეზრდება. სამწუხაროა, რომ აქ უკვე რუსული გავლენა იგრძნობა. დიდია ალბათობა იმისა, რომ რუსული კულტურა და ცივილიზაცია ამ დარბაისელ ხალხზე ცუდ გავლენას მოახდენს და მათ დონეს დაამდაბლებს. ამაზე ფიქრისას საშინელ გულისტკივილს ვგრძნობ. ამგვარი კითხვების დასმა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ საქართველოში, ქვეყნის სასარგებლოდ, ბედის უცნაურობით, იმდენჯერ შემოტრიალებულა უკუღმა დაბრუნებული ჩარხი, იმდენი სასწაული მომხდარა სასოწარკვეთილების ჟამს, იმდენჯერ გამხდარა ეს ქვეყანა გამარჯვების მოწმე, რომ ამ ერთი შეხედვით შეუძლებელი ამოცანის შესრულებაც არ იქნებოდა გასაკვირი“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 75;105–106) მწერალს ცოცხალი მაგალითი მოჰყავს თავისი არგუმენტის გასამყარებლად და ასეა ეს მთელი ნაწარმოების განმავლობაში.

ქვეყნის ისტორიულ–პოლიტიკური რეალიების ცოდნა სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებთა ავტორების ვალდებულებაცაა, რადგანაც ამ ცოდნის გარეშე მოგზაურობის აღწერა არ იქნება სრულყოფილი, ასე იყო აჰმეთ მითჰათის წინამორბედთა ნაშრომებშიც, პარალელი ისევ ჟან შარდენტან გავავლოთ: „როგორც მოსალოდნელი იყო, შარდენტან თხზულებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათებას. შარდენტან იცის,

რომ საქართველო უმველესი ქვეყანაა, რომ იგი ერთ დროს ძლიერ და ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა, და, რომ ეს ქვეყანა უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე დაიშალა ცალკე სამეფო–სამთავროებად. იგი ცდილობს გაიაზროს კიდეც, თუ რატომ მოხდა ეს ასე; მოაქვს ქვეყნის დაშლა –დაქვეითების როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზები (შარდენი, 2018:31). ეს მიზეზები საქართველოსთვის, როგორც ვიცით წინა ეპოქაში სხვა ქვეყნების ინტერესებთან იყო გამოწვეული.

„ქართველი ასულის შურისძიება“ არის შემეცნებითი ღირებულების მქონე მხატვრული ნაწარმოები, რომელიც, ყველა ჭეშმარიტი ლიტერატურის მსგავსად დიდაქტიკური ღირებულებით გამოირჩევა. აჰმეთ მითჰათ ეფენდი მხატვრული შემოქმედების ძალით შთაუწერავს თავის მკითხველს კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მშვენიერი ქვეყნისადმი. იგი თავისი ამ ნაწარმოებით ასწავლის ადამიანებს ერთგულების, სიყვარულის, ჭეშმარიტი მეგობრობის, განსხვავებული კულტურების პატივისცემის აუცილებლობას. ამასთანავე, თურქულ ლიტერატურაში ეგზოტიკური სამოგზაურო ჟანრის შემოტანასთან ერთად, შემეცნებითი დატვირთვაც შემოაქვს თავის დროსა და ეპოქაზე, იგი მკითხველს აწვდის ცოდნასა და ინფორმაციას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოგზაურობის ჟანრის ეს მხატვრული ნაწარმოები ჭეშმარიტი ხელოვანის მიერ არის შექმნილი და თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც ემსახურება ორი ქვეყნის კულტურათა დაახლოებას.

რომანის ისტორიული გარემო და პერსონაჟთა სახეებია გააანალიზებული მესამე თავის მეორე პარაგრაფში, აჰმეთ მითჰათ ეფენდის ნაწარმოებში, „ქართველი ასულის შურისძიება“, გაცოცხლებულია საქართველოს ისტორიის მრავალთაგან ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელი. კერძოდ, საქართველოს სამეფოს აღსასრული, ბაგრატიონთა გადასახლება რუსეთის იმპერიაში, რუსი გენერლის - ლაზარევის მკვლელობა მარიამ დედოფლის მიერ და ამის შემდგომად განვითარებული მოვლენები. ნაჩვენებია რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსია, ქართველი ხალხის წინააღმდეგობა და მათი მეზობლი ბუნება.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიება“, როგორც ავტორი გვამცნობს, ისტორიულ წყაროებს ეფუძნება და თვალწინ გვიცოცხლებს XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს, როცა რუსეთმა მოახერხა სამეფოს გაუქმება და გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატიონები რუსეთის იმპერიაში გადაასახლა, რათა ხალხში საბოლოოდ აღმოეფხვრა ოცნება მირონცხეული მეფის ხელისუფლების აღდგენაზე. რუსეთის მთავრობა, იცოდა რა ქართველთა ბუნება, დარწმუნებული იყო, რომ თუ ერთი ბატონიშვილი მაინც დარჩებოდა საქართველოში, ხალხი ტახტის აღდგენისათვის ბრძოლას არ შეწყვეტდა, ამიტომ ბატონიშვილთა გადასახლებით ცდილობდა მომავალში პოლიტიკური სიმშვიდე უზრუნველყო. ვნახოთ როგორ აღწერს მწერალი საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვან მოვლენებს: „როგორც მოგეხსენებათ, XVIII საუკუნის ბოლომდე საქართველო დამოუკიდებელი სამეფო იყო. მისი დედაქალაქი ტფილისი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ ოსმალეთი, მეორე მხრივ კი სპარსეთი მუდმივად ქიშპობდნენსაქართველოს გამო, მონარქიული მმართველობა მაინც არ გაუქმებულა. XVIII საუკუნის ბოლოს, ქვეყნის ძირითადი ნაწილი სპარსეთს ეპყრა.

მწერალი კარგად იყო ჩახედული საქართველოს ისტორიულ რეალობებში და თუ მცირე უზუსტობებს არ მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ითქვას, ავტორისთვის ახლობელი და კარგად გააზრებულია ის ამბები, რომლის შესახებაც თავისი სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოების შექმნაც გადაუწყვეტია.

ამ ნაწარმოების ღირსება სწორედ ისაა, რომ მწერალი რეალისტურად ხედავს და აღწერს შექმნილ ვითარებას. თუმცა ნაწარმოებში მთავარ მოქმედ პერსონაჟებად გამოგონილი გმირებიც მრავლად არიან. ამ ჟანრის ნაწარმოებების შემქმნელნი წინასწარ ეცნობიან ქვეყნის ისტორიასა და ეთნოგრაფიას, კულტურას. აჰმეთ მითჰათ ეფენდიც, როგორც მისი ბიოგრაფები გვამცნობენ, დაახლოებით ორი წლის განმავლობაში სწავლობდა საქართველოს ისტორიას. საანალიზო ნაწარმოები, მიუხედავად მცირე ისტორიული უზუსტობებისა, ეგზოტიკურ ჟანრში

მოქცეული საინტერესო ნაზავია საქართველოს ანექსიის, ქართული ეთნოგრაფიული და კულტურული ღირებულებებისა და მრავალი ისეთი ნიუანსისა, რომელიც ამ პერიოდის სურათის დახატვაში დაეხმარება სპეციალისტებს. რაც ყველაზე მთავარია: „აღნიშნული ნაწარმოები იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდნენ თურქი მწერლები ქართული კულტურისა და ისტორიის მიმართ“ (აბდულაჰ თათაროღლუ, 2016:6). მხატვრული ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულება დამოკიდებულია ეპოქის სინამდვილის ასახვის ხარისხზე და ჩვენს განსახილველ ნაწარმოებში ეს ტენდენცია მკაფიოდაა ასახული.

ნაწარმოების ერთიან ქსოვილში ლიტერატურული პერსონაჟების როლის გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ მთავარი, დამხმარე და ეპიზოდური პერსონაჟები; ხოლო მოქმედების განვითარებაში მონაწილეობის თვალსაზრისით – აქტიური და პასიური პერსონაჟები. „აღრე ამბობდნენ, მწერალს უნდა უყვარდეს თავისი პერსონაჟებიო. გარკვეული გაგებით, რა თქმა უნდა, მათი პიროვნულობის მიუხედავად, შენი პერსონაჟები უნდა გიყვარდეს, ისინი ხომ შენი შვილები არიან – უშნოებიც და მიშვიდველებიც (ბერძენიშვილი, 2016: 21). სწორედ ასეთ სიყვარულს ვგრძნობთ აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიების“ მოქმედების სუბიექტებთან შეხვედრისას. ისინი ძირითადად აქტიური და მთავარი პერსონაჟები არიან. ავტორი, რომელიც ნაწარმოებში მოქმედ პერსონაჟ გილიომ სანქად წარმოგვიდგება, მთელ საქართველოში მოგზაურობს, აწარმოებს საქმიან მოლაპარაკებებს, იკვლევს და ეცნობა ქვეყნის ისტორიას, კულტურას, მოსახლეობას, მათ შინაგან სამყაროს, სულიერ ღირებულებებს. შესაბამისად, იგი პერსონაჟებს გვიხატავს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით და თითოეული ახალი გმირის წარდგენისას იგრძნობა ავტორისეული კეთილგანწყობა ადამიანური სიკეთეებისა და სისუსტეების მიმართ. თითოეული პერსონაჟის ხატვის დროს ჩანს, რომ ავტორი შესანიშნავად ფლობს ნაწარმოების ჟანრისთვის დამახასიათებელ თხრობის ტრადიციულ ხერხებს, ნაწარმოების

გმირები ხან პირველ პირში საუბრობენ, ხან ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა პერსონაჟთა ნაამბობი და თხრობის სტილიც შესაბამისად იცვლება, მწერლის დამოკიდებულება კი თავისი გმირებისადმი არის შესაბამისი.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი „ქართველი ასულის შურისძიებაში“ ასახავს საქართველოში არსებულ სინამდვილეს და მოგზაურის თვალით დანახულ იმ რეალობებს, რაც ქვეყნის ახალმა დამპყრობელმა შექმნა მაშინდელ კავკასიაში. პერსონაჟთა ხატვის თვალსაზრისით კი შეიძლება ითქვას, რომ მისი გმირები არიან ადამიანები, რომელთა საქციელმაც მაგალითი უნდა მისცეს საზოგადოებას. რომანში არიან ისეთი გმირები, რომელთაც საზოგადოებაზე გარკვეული დადებითი გავლენა უნდა მოახდინონ, თუმცა პარალელურად არიან ისეთებიც, რომელთაც უარყოფითი, ტრაგიკული, კომიკური, და ხანდახან გროტესკული დატვირთვაც რომ გააჩნიათ.

ერთი საინტერესო შტრიხიც: როდესაც გილიომ სანქი ფშველებს დაემშვიდობა, რათა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებას შედგომოდა და ნავთობის საბადოები მოემენა, მას, მისდა გასაკვირად, სტუმართმოყვარე მასპინძლებთან განშორება ისე გაუჭირდა, რომ თვალეზე ცრემლიც კი მოადგა. „ჩვენ, ევროპელებმა, დიდი ხანია დავკარგეთ გულწრფელი გრძნობების გამოხატვის უნარი. ჩვენ ჩვენს ოჯახებთან დაშორების დროსაც არ გვიპყრობს სევდა, მაშ, ამ გადამთიელ ადამიანებთან დაშორებამ ასე რად იმოქმედა ჩემზე? უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ, ევროპელებმა, ცივილიზაციის იდეალის ძებნაში, ბევრი ადამიანური თვისებები დავკარგეთ“ (გვ.66). ავტორის დამოკიდებულება თავისი პერსონაჟებისადმი ნათელია და ღირებული ლიტერატურის ფასეულობაც ამით იზომება. მკითხველს, ავტორს ენაწება თავისი გმირების სამყაროსთან განშორება. ერთობლიობაში ნაწარმოების პერსონაჟები და სიუჟეტური ქარგა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ეს ეგზოტიკური ნაწარმოები ინფორმაციულ და მხატვრულ ღირებულებებთან ერთად ბევრ საფიქრალს აღუძრავს დაინტერესებულ მკითხველს. ლიტერატურის მთავარი დანიშნულებაც ხომ ესაა.

მესამე პარაგრაფი ნაწარმოების ენობრივი მხარის ანალიზს ეთმობა. აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიება“ ჟანრისთვის დამახასიათებელ ყველა ნიუანსს შეიცავს, რომანის ტექსტის ლექსიკური, სინტაქსური, მხატვრულ–გამომსახველობითი და სხვა მხარეები, მთარგმნელს განსაკუთრებულ სიძნელეებს არ უქმნის. თარგმანში კარგადაა გადმოტანილი სამოგზაურო ჟანრისთვის დამახასიათებელი თხრობის სტილი, ეგზოტიკური წვრილმანების თავისებურად აღწერა, საოცარი გონებამახვილობა, ენის სისხარტე საშუალებას აძლევს ავტორს ამ რომანით და მასში აღწერილი ამბებით დაინტერესოს თავისი მკითხველი საზოგადოება და ქვეყანაზე მისთვის ცნობილი ინფორმაციები ცოცხალი სასაუბრო ენის მეტყველებიდან აღებული, მხატვრული ხედვის, სახოვანი აზროვნების შესაძლებლობათა გამოვლინების ერთ–ერთი სახიერი კომპონენტის ფრაზეოლოგიზმე–ზის გამოყენებით შექმნას სემანტიკური თუ სტილისტური იერი.

ყოველ ეპოქას და საზოგადოებას საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი მორალურ–ეთიკური ეტალონი აქვს. მასთან პიროვნების შეუთავსებლობის დროს მძიმე გრძნობები იჩენს თავს: სირცხვილი, დანაშაულის გრძნობა, სინდისის ქენჯნა. გმირთა შინაგანი სამყარო მათივე ქცევის დეტალებში, მეტყველების ქვეტექსტებსა და გრძნობათა და განცდათა სიღრმეებში მჟღავნდება. გულით აღქმულის, ცნობიერებაში გარდატეხილისა და გონებით გააზრებულის მკითხველამდე მიტანას შესაფერისი ენობრივი საშუალებები, სტილი სჭირდება. მხატვრული ტექსტი არ არის მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოები, ეს სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშია, ენის ფენომენის პროდუქტი, რაც ჩვენს განსახილველ ნაწარმოებში როგორც დედანში, ასევე თარგმანში ძალუმად შესაგრძნობია.

ნაწარმოებში საინტერესოდ არის წარმოდგენილი XIX საუკუნის საქართველოს გეოგრაფიული გარემო, რომელიც უმეტესად რეალური ვითარების ამსახველია და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი. ონომასტიკური მასალა მხატვრულ ნაწარმოებში გამოიყენება ექსპრესიული მიზნებისათვის. აქ მოხსენიებულ ნებისმიერ ერთეულს სხვადასხვა ეტიმოლოგიური თუ ლინგვისტური დატვირთვა აქვს. აჰმეთ

მითხატ ეფენდის ნაწარმოებში თითქოს თვალთ იხატება ფერწერული პეიზაჟები, რომლის აღქმა მხედველობითი ხატებით ხდება. ეს სურათები არ არის დამძიმებული ჭარბი ფერებით და მუსიკალური საღებავებით. ხასიათდება მსუბუქი ლირიზმითა და მუსიკალური ხმოვანებით. სიტყვათა მელოდიურობა მეტყველია, თითქოს ფერებია, ტილოზე მიმოხვეული. იქმნება სურათი და ეს სურათი მოგვითხრობს ამბავს, აცოცხლებს მკითხველის წარმოდგენაში იმას, რაზედაც მიგვანიშნებს მწერალი, რასაც ასე განიცდის და ჩვენც განგვაცდევინებს. მწერლის სტილის ერთ-ერთი ნიშანია მხედველობითი ხატების სიუხვე, რასაც მარჯვედ იყენებს სურათის აღწერისას. მთავარია წუთიერი შთაბეჭდილებები და განწყობა, რომელთა გადმოსაცემად განსაკუთრებული გამომსახველობითი ხერხებია გამოყენებული.

ლიტერატურის ძირითადი პრობლემა ყოველთვის გახლდათ ადამიანის სულიერი სამყაროს წვდომა და იმ ტკივილების ასახვა, რაც ამა თუ იმ სოციალურ ასპექტში იყო დასმული. ყოველ ეპოქას და საზოგადოებას საკუთარი მისთვის დამახასიათებელი მორალურ-ეთიკური ეტალონი აქვს. მასთან პიროვნების შეუთავსებლობის დროს მძიმე გრძნობები იჩენს თავს: სირცხვილი, დანაშაულის გრძნობა, სინდისის ქენჯნა. გმირთა შინაგანი სამყარო მათივე ქცევის დეტალებში, მეტყველების ქვეტექსტებსა და გრძნობათა და განცდათა სიღრმეებში მჟღავნდება. გულით აღქმულის, ცნობიერებაში გარდატეხილისა და გონებით გააზრებულის მკითხველამდე მიტანას შესაფერისი ენობრივი საშუალებები, სტილი სჭირდება. მხატვრული ტექსტი არ არის მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოები, ეს სიტყვიერი ხელოვნების ნიშუშია და ენის ფენომენის პროდუქტი. აჰმეთ მითათ ეფენდის ნაწარმოები გამოირჩევა მწერლის საფიქრალის ზემოთ დასახელებული საშუალებების სადა ენობრივი კომპოზიციებისა და ექსპრესიული თხრობის მანერით.

მწერალს თურქულ ლიტერატურაში ეგზოტიკური სამოგზაურო ჟანრის შემოტანასთან ერთად, შემეცნებითი დატვირთვაც შემოაქვს თავის დროსა და ეპოქაზე, იგი მკითხველს აწვდის ცოდნასა და ინფორმაციას. მხატვრული

ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულება დამოკიდებულია ეპოქის სინამდვილის ასახვის ხარისხზე და ნაწარმოებში ეს ტენდენცია მკაფიოდაა ასახული. აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიება“ ჟანრისთვის დამახასიათებელ ყველა ნიუანსს შეიცავს, რომანის ტექსტის ლექსიკური, სინტაქსური, მხატვრულ-გამომსახველობითი და სხვა მხარეები, მთარგმნელს განსაკუთრებულ სიძნელეებს არ უქმნის. თარგმანში კარგადაა გადმოტანილი სამოგზაურო ჟანრისთვის დამახასიათებელი თხრობის სტილი, ეგზოტიკური წვრილმანების თავისებურად აღწერა, საოცარი გონებამახვილობა, ენის სისხარტე საშუალებას აძლევს ავტორს ამ რომანით და მასში აღწერილი ამბებით დააინტერესოს თავისი მკითხველი საზოგადოება და ქვეყანაზე მისთვის ცნობილი ინფორმაციები ცოცხალი სასაუბრო ენის მეტყველებიდან აღებული, მხატვრული ხედვის, სახოვანი აზროვნების შესაძლებლობათა გამოვლინების ერთ-ერთი სახიერი კომპონენტის ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით შექმნას სემანტიკური თუ სტილისტური იერი.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიების“ მხატვრული ანალიზმა გვიჩვენა, რომ მწერალს თურქულ ლიტერატურაში ეგზოტიკური სამოგზაურო ჟანრის შემოტანასთან ერთად, შემეცნებითი დატვირთვაც შემოაქვს თავის დროსა და ეპოქაზე, იგი მკითხველს აწვდის ცოდნასა და ინფორმაციას. მხატვრული ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულება დამოკიდებულია ეპოქის სინამდვილის ასახვის ხარისხზე და ნაწარმოებში ეს ტენდენცია მკაფიოდაა ასახული.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიება“ ჟანრისთვის დამახასიათებელ ყველა ნიუანსს შეიცავს, რომანის ტექსტის ლექსიკური, სინტაქსური, მხატვრულ-გამომსახველობითი და სხვა მხარეები, მთარგმნელს განსაკუთრებულ სიძნელეებს არ უქმნის. თარგმანში კარგადაა გადმოტანილი სამოგზაურო ჟანრისთვის დამახასიათებელი თხრობის სტილი, ეგზოტიკური წვრილმანების თავისებურად აღწერა, საოცარი გონებამახვილობა, ენის სისხარტე საშუალებას აძლევს ავტორს ამ რომანით და მასში აღწერილი ამბებით

დაინტერესოს თავისი მკითხველი საზოგადოება და ქვეყანაზე მისთვის ცნობილი ინფორმაციები ცოცხალი სასაუბრო ენის მეტყველებიდან აღებული, მხატვრული ხედვის, საზოგანო აზროვნების შესაძლებლობათა გამოვლინების ერთ–ერთი სახიერი კომპონენტის ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით შექმნას სემანტიკური თუ სტილისტური იერი.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახა

შემდეგ პუბლიკაციებში:

1. A GREAT NOVELIST AHMET MİTHAT IN HIS 105TH YEAR OF DEATH. „გარდაცვალების 105-ე წლისთავი დიდი რომანისტი აჰმეთ მითჰათ„. ბათუმი შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სადოქტორო სტუდენტების III კონფერენცია <https://bsu.edu.ge/main/page/8517/index.html> , 2017.
2. ALTIN ÇAĞIN ALTIN ŞAIRİ ŞOTA RUSTAVELİ VE MECNUNLUK “AŞK, AKILLA ANLAŞILMAZ; YÜREKTE YAŞANIR.” “მიჯნურობა - გრძნობა, ჭკვიანთაგან მიუხვედრელი.” GOLDEN AGE AND GOLDEN POET SHOTA RUSTAVELI “Mijnuroba - Love is not understood but alive.” , TURAN-SAM (TURAN Stratejik Araştırmalar Merkezi) http://www.turansam.org/TURAN-SAM_33.pdf , 2017.
3. GÜRCÜ MİSAFİRPERVERLİĞİ VE TAMADA KÜLTÜRÜ GEORGIAN HOSPITALITY AND TAMADA CULTURE “ქართული მასპინძლობა და თამადობის კულტურა”, I . ULUSLARARASI KAFKASYA HALK KÜLTÜRÜ KONGRESİ <https://www.kafkas.edu.tr/kafKongre/tr/duyuru/i-Uluslararası-Kafkasya-Halk-Kulturu-Kongresi-Bildiri-E-Kitabi-Yayınlanmistir> , 2017.
4. “Turkish-Georgian Political and Literary Relations (a case study of activities of the Georgian Language and Literature

Department)”, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute for Georgia’s Neighbourhood Studies III International Scientific Conference Politics around Caucasus http://press.tsu.ge/data/image_db_innova , 2017.

5. ANADOLU’YU KAFKASYA’YA BAĞLAYAN KAPI: GÜRCİSTAN VE KAFKAS (GÜRCÜ) GÖÇÜ EDEBİ BAĞLAMDA THE GATE CONNECTING ANATOLIA TO CAUCASUS: AS LITERARY THE MIGRATION OF GEORGIA AND CAUCASUS (GEORGIAN), 140. Yılında Kafkas Göçleri ve Etkileri Sempozyumu <http://mf.fsm.edu.tr/haber/93-Harbinin-140-Yilinda-Kafkas-Gocleri2017-11-27-18-27-15pm> , 2017.
6. GÜRCÜ DİLİNE GENEL BİR BAKIŞ VE GÜRCÜCE’NİN ANA DİL OLARAK İLAN EDİLMESİ General View of Georgian Language and its Declaration as Mother Tongue, Kafkas Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi Kafkas University Journal of the Institute of Social Sciences Bahar Spring 2018, Sayı Number 21, 1-8 DOI:10.9775/kausbed.2018.001 <https://www.kafkas.edu.tr/dosyalar/sobedergi/file/21/01.pdf> , 2018.
7. TÜRK-GÜRCÜ SİYASİ VE EDEBİ İLİŞKİLERİ (ÇALIŞMA ALANI OLARAK GÜRCÜ DİLİ VE EDEBİYATI BÖLÜMÜ) TURKISH-GEORGIAN POLITICAL AND LITERARY RELATIONS (A CASE STUDY OF ACTIVITIES OF THE GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE DEPARTMENT) TURAN-SAM (TURAN Stratejik Araştırmalar Merkezi) http://www.turansam.org/TURAN-SAM_37.pdf , 2018.
8. „Comparative analysis of Turkish-Georgian traditions, „თურქულ-ქართული ტრადიციების შედარებითი ანალიზი ანოტაცია, , Caucasus International University The Sixth International Conference for Bachelor’s, Master’s

and PhD Students in Tbilisi
www.ciu.edu.ge/files/files/Programa_print2025_05_2018.pdf
, 2018.